ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

**EMCDDA4GE –ნარკოტიკულ საშუალებათა არალეგალური ბაზრის შედეგად გამოწვეულ ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რისკებზე ეროვნული რეაგირების მექანიზმების ეტაპობრივი გაძლიერება**

**განხორციელების ვადა:** 03.05.2021 - 02.05.2023

**EaP ქვეყნები:**
Georgia

**ევროკავშირის წვლილი:** € 800 000

**მთლიანი ბიუჯეტი:** € 800 000

**განმახორციელებელი ორგანიზაცია (ებ):**
European Monitoring Centre for Drugs and Drug Addiction

**პროექტის ვებსაიტები:** emcdda.europa.eu/activities/emcdda4georgia_en

**პროექტის აღწერა:**

EMCDDA4Georgia („EMCDDA4GE“) – პროექტის მიზანია ნარკოტიკულ საშუალებათა არალეგალური ბაზრის შედეგად შექმნილი ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რისკებზე რეაგირებისათვის საჭირო მექანიზმების ეტაპობრივი გაძლიერება ეროვნულ დონეზე.
EMCDDA-ს ტექნიკური თანამშრომლობის წინა პროექტების ფარგლებში მიღებულ მიღწევებსა და შედეგებზე დაყრდნობით, პროექტ „EMCDDA4GE“-ის საერთო მიზანია გააძლიეროს ქვეყნის საპასუხო ზომები ნარკოტიკებით გამოწვეულ ჯანამრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საფრთხეებზე.
საერთო  მიზნის მისაღწევად, პროექტი „EMCDDA4GE“ დახმარებას უწევს საქართველოს ნარკოვითარების მონიტორინგის ეროვნულ ცენტრს მონიტორინგისა და ანგარიშგების პროცესის გაუმჯობესების კუთხით. კერძოდ, პროექტის ფარგლებში გაიზრდება ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სფეროებში ნარკოტიკებთან დაკავშირებულ მონაცემებსა და სტატისტიკურ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა, უზრუნველყოფილი იქნება ტექნიკური და თემატური ექსპერტების მხარდაჭერა, მონაცემების შეგროვებასთან დაკავშირებული მეთოდოლოგიური სამუშაოები და სხვა. ამასთან,  პროექტი მიზნად ისახავს ადრეული გაფრთხილების სისტემის ქსელის გაძლიერებას, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების შესახებ ინფორმაციის დროულად და მოქნილად გაცვლის  მიზნით.
პროექტი „EMCDDA4GE“ გააუმჯობესებს პრევენციისა და  მკურნალობის ეროვნულ შესაძლებლობებს. გადაწყვეტილების მიმღებ პირებსა და საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაზე ზეგავლენის მქონე პირებს (DOP) გაუზიარებს პრევენციასთან დაკავშირებულ საკვანძო ინფორმაციას მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრევენციის ყველაზე ქმედითი მიდგომებისა და

**მოსალოდნელი შედეგები:**

მოსალოდნელი შედეგი 1.1: შეფასებულია ნარკოვითარების მონიტორინგის ეროვნული ცენტრის ინსტიტუციური შესაძლებლობები.
მოსალოდნელი შედეგი 1.2: ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად გაზრდილია ცოდნა ჯანდაცვისა და უსაფრთხოების სფეროებში მონაცემების შეგროვებისა და ანგარიშგების ინსტრუმენტების თაობაზე, ასევე, გაზრდილია ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ეროვნულ დონეზე.
მოსალოდნელი შედეგი 1.3: შექმნილია ადრეული გაფრთხილების სისტემის (NEWS) ეროვნული ქსელი.
მოსალოდნელი შედეგი 2.1: გადაწყვეტილების მიმღები პირები და საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაზე ზეგავლენის მქონე პირები სათანადოდ არიან ინფორმირებულნი მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრევენციული მიდგომებისა და ჩარევების თაობაზე.
მოსალოდნელი შედეგი 2.2: გაძლიერებულია ნარკოლოგიური დახმარების გამწევ სპეციალისტთა საგანანმანათლებლო სისტემა.